



1957

ეროვნული
გამაცემისა

Nº 12

036060 თბილისი.

1957

316 803 030

საქართველოს სამართლის მიერ გამოცემისა

ისითანარე

ვაკე

... რომ თბილისის საყვავილეებში, საღაც დიდის წარმატებით ვაჭრობენ სანთლის ყვავილებით და ცოცხალ ყვავილებს სანთლითაც კი ვერსად იძოვი, ამ დღეებში მიიღეს მრავალფეროვანი ასო-რტიმენტი. მაგალითად, 10 მაისს პირველმა მაღაზიამ მიიღო ხუთი ცალი პიონი, 30 ცალი—ირისი, ექვსი ცალი—კალა, ასი ცალი—გარდი. მესამე მაღაზიაშ—15 ცალი ვარდი, 30 ცალი—მინაში, ორი ცალი—პიონი და... არც ერთი ცალი ირისი. ბედნიერი მომხმარებელი, რომელთაც ერგოთ ეს ყვავილები, აღტაცებას გამოსთვევამენ იმის გამო, რომ ხსნებული ჯიშები ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისტორიისთა და ბუნების მეტყველთა მიერ ოდითვანები კვავილების კვეყანად მიჩნეულ საქართველოში.



... რომ თბილისის საყვავილეებში მიღებული 2 ცალი პიონისაგან ბეყვავილეთა ხელის სისწრაფით უცედ შეძლება გაჩნდეს მრავალფეროვანი თაიგთლები და გვირგვინები. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს საყვავილების გამყიდველებმა, რომელთაც ძალუქთ, ვთქვათ, დასაფლავების დღეს ფაქტურით მიღებული კვავილები რომ ცხედიც მიყიდონ ჭირისუფალს დაუკინობლად. საყვავილე მაღაზიები დიდის გულმოდგინებით ცდილობენ ეს ჯადოსნური ვარდები თუნდაც ერთორი ცალი მაინც ხელთ იგდონ, რადგან მათგან ათასობით ცოცხალი ყვავილი იფურჩქნება მეყვავილეთა ქეუისადა მოხერხების წყალობით. ამბობენ, ვარდი უკელიდ არევის მოუკრეფიაო, მაგრამ ამ აფორიზმის გაგონებაზე გამწვანების ტრესტის მუშაქებსა და საყვავილეებში მომზადე გამჭიდველებს ლიმილი მოსდით ხოლმე.

... რომ ჯადოსნური ვარდებით ყიდვა-გაყიდვა მოჯადოებულ წრეში ხდება. რადგან ყვავილთა უჩემეულო გამრავლების სიიდუმლოს მეყვავილეები გულმოდგინედ ინახავენ, ცუდი მუშაობისათვის დროებით მოხსნილ თანამშრომელს კვლავ თავის ადგილს აბრუნებენ*. საყვავილე მაღაზიების პრაქტიკში უარყოფილია კიდევ ერთი აფორიზმი: „იგი წავად სხვა მოვა ტურითასა საბალნაროსა“.

... რომ სტართველს ზღვისპირეთში ყვავილების სანერგები და ორანჟერიები მოსკოვს, კიევს, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებს გაუშენებიათ და ყვავილებიც ისე უხვად მოსდით, რომ თბილისის გამწვანების ტრესტი მათ მიმართავს ხოლმე — იქნებ ცოცხა ვარდები როგორმე გვარგუნოთ. არა შარტო ზავი ზღვის, არამედ ბალტიისპირეთში რიგას 6 ჰექტარზე აქვს ორანჟერია და ამიტომაც შუა იანგარშეც კი უხვად შეხვდებით იქ მაისის ვარდებს. ჩვენს სანერგებში კი შუა ზაფხულშიაც შეიძლება ვერსად იპოვოთ ყვავილი მაშინ, როდესაც იალ-ბუზის კალთებზეც ბიბინებს კორჩიოტა და იელი.

* იხილეთ გამწვანების ტრესტის ბრძანებების წიგნი.

... რომ ზოგიერთი აგრობორტექნიკოსის გულმოდგინე მუშაობის შედეგად შინაურ ცხოველებს ძლიერ განუვითარდათ ესთეტიკური გრძნობა. მარტი თბილისის საბაზისო ყვავილების სანერგებში (საღაც დირექტორიც მუშაობს შ. ბახტაძე) თხები, ძროხები და სხვა საქონელი დაცვის მონაცემებით ეტანება ნაირფერად მშევნიერ ყვავილებს.

... რომ სპორტის ჩამოსახურის სახეობათა უეცარი აყვავება შეიძლება მრავალწლიანი ბალტიის ტყეების ნოკიერ ნიადაგზე სპორტული მოედნების აშენებით.

... რომ ერთფეროვნების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განზრაბულია 9 იანვრის ქუჩაზე მდებარე ყვავილების სანერგებს ტერიტორიაზე აიგოს კინოთეატრი მრავალფეროვანი ფერადი ფილმების სახვენებლად. ვიღაცას ამაზე გამოუთხვას ახილებული აზრი, თითქოს განზრაბული კინოთეატრის აგება უფრო მიზანშეწონილია სანერგების გვერდით მდებარე თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც დასუფთავების ტრესტს ეკუთვნის, და, საღაც ცხენების და აგრძომანქანების თავლებია გამართული. ეს აზრი სანერგებს დაცის მიზნითა გამოთქმული და ძირშივე მცდარია, რადგან დასუფთავების ტრესტს საღაც ცხავს ჰერკულესი ამ უქმებელი ტერიტორიაზე ავგენისის თავლების გასაშემნდად?

... რომ ეიდვე ბევრი შეიძლება ითქვას ყვავილების, საყვავილეებისა და მეყვავილეების შესახებ, მაგრამ დანარჩენებ თავს ვიკავებთ. ვამედოვნებთ. რომ თქვენც ბევრი რამ იცით.





— მაშინ, აյი დამპირდი პიფაშის შენც გიყიდო.

— მოიცა, შვილო, ერთხელ გაგრეცხავ და სწორედ შენი ზოგისა გახდება.



ა. გ. ბერძნიშვილის

„შოხერხებული“

შემოგვივრება

უცოლო კაცი უბრალო შემთხვევასაც იმედის თვალით უყურებს. სწორედ მე დამემართა ას. ელბაქიძის დალმართზე უცნობ ქალიშვილს წამოვეწიო. შევხედე, მაგრამ რას შევხედე, ჯერისანი შემირცხვენია, ვარსკვლავებს ეთამაშება. ერთ წამში პველაფერი გადავწივთე: ცოლობაზეც დამთანხმდა, ქორწილიც გადავინადე, ერთი სიტყვით. ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მისმა რვალივით მტკიცე ნებისყოფაშ სულ ჩამიშალა გეგმები. უნივერმალამდის ისე ვსდიე, ხელკავიც ვერ შევთავაზე.

გაცილება ვიკისრე.

სულ უცხო მხარეს მოვხვდი, ისე კი მსმენია, ლოტკინის მთას ეძახიან.

აღმართს შევუდექით. მივდივარ და მაცახცახებს, ქუჩებში ბნელა, უკუნეთია. კელაპტრინაშ (ეს ზის სახელია) ალბათ შემატყო და მითხრა:

— თუ გეშინია, დაბრუნდი.

როგორ გავძელავდი, მომავლის ბეღი წყდებოდა.

— უკვე მოვედით, — თქვა კელაპტრინაშ. — წევის ქუჩიდან პიონერის ქუჩაზე გავალო, მერე ჰედაუბნის ქუჩას გავყვებით, კიდევ ერთი შესახვევი და...

ფიქრებში ჩავიძირე, ოჯახს გაწყობდი. აი, ჩემმა კელაპტრინაშ რიგის ავეჯი მოითხოვა. მსუბუქი ჩანანა, დამატარებს მალაზიებს...

მე აქ ვცხოვრობ. ნახვამდის! — მომესმა უცებ მისი ხმა და ისე გაქრა თვალთაგან.

გამოვბრუნდი. კვეხაში ნუ ჩამომართმევთ და არაფერს დავჭახებივარ, სულ რალაც სამჯერ ჩავვარდი თხრილებში.

იმ შეხვედრამ დასაბაზი მისცა ჩვენს გრანიტივით მყარ სიყვარულს. დღისით თავს ვევლები. შევციცინებ. მაგრამ ღამე... ღ, ღამევ, ღამევ! სახლამდის გაცილებას არაფრად ჩავთვლი, ადგილმდებარებას შეჩვეულია ჩემი სატრუო და შეც მივხდევ. ვძლევთ სიბნელეს, მაგრამ უკან რომ ვბრუნდები, ჯიბის ფარანიც უძლურია. კომპასია საჭირო. რომ სინათლისკენ გზა მიჩვენოს.

ნერავ როდის უნდა განათდეს ლოტკინის მთაზე ქუჩები, რომ ჩვენმა სიყვარულმა ზერიტს მიაღწიოს!



ეროვნული
სამართლებული

რეზისტრაცია სამართლებული

მარკეტი

სათაური ჯობა თუ ცუდი და,
სამორდა, საჭიროა თუ არა სათაური?

„ლოტერიულული ნაწარმოების სათაური, ასე თუ ისე, უნდა შეეფეროდეს თვით ამ ნაწარმოებს და არა სხვა რომელიმეს“ (ჩემი მომავალი წიგნიდან. ტ. 11, გვ. 314). მაგალითად, თუ რომანი დაწერილია ქალაქის ტელეფონების ქსელის მუშაქებზე, წიგნს უნდა ერქვა: „ინტრიგების ქსელში“, ან „სიყარულის ქსელში“, ან „დაკიდე ტრუბკა!!“, ან „ცხოვრებიდან გამოისული“, ან „ვერ გიცანი სმახე“. თუ რომანში აღწერილია მეტვაურთა ცხოვრება, წიგნს შეიძლება დავარქვათ: „მეცნერ ტალღაზე“ (უკიდულეს შემთხვევაში, „მეცნერ ტალღაზე“), მაგრამ ამახე შემდგა. ჯარ დავსვათ კოთხა, კარგი სათაური ჯობა, თუ ცუდი და აქვთ ვებასუხლოთ, — კარგი. მაგრამ რას ეწოდება კარგი სათაური? გავაკეთოთ ისტრიული ექსკურსი—გუშინ ერთმა მწერალმა მწერალმა, „ვეფხისტერასანი“, „კეცა ადამიანი?“ და „სიმბრნე სიცრუსია“ კარგი სათაურებია. მაგრამ ვინ დაწერს ასბო ასე მალალმა ტვრულ ნაწარმოები? არაეინ. ე. ი. არც მათი სათაურები გამოგვადება. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში რიგიანი მწერალი? გზა ერთადერთია და მას მხატვრული კეშმარიტების აუღებელ მწერევალმისაკენ შეივაროთ — მწერალმა თვითონ უნდა მოიფიქროს თავისი ნაწარმოების ხათაურის (ხაზი ჩემია) და აქვთ დავძნოთ, რომ კარგი სათაური გაცილებით კარგია, ვიდრე ცუდი (იხ. ამ სტატიის სათაური).

ახლა განვიხილოთ აქედან ლოგიკურად გამომდინარე საეკითხი — საერთოდ, საჭიროა თუ არა სათაური? სრული. პასუხისმგებლობით გაცემადებ, რომ საჭიროა (ეს ხაზიც ჩემი).

როგორც სასკოლო სახელმძღვანელობიდან ჩანს, კლასიკონები: შექსპირი, სერვანტესი, დანტე, ტოლსტიო, კავკავაძე და სხ. ყოველთვის ასათაურებლენი თავითინ წიგნებს (მაგალითითავთვის საკმარისია გავიასენთ, რომ სერვანტესის რომანის „რატონი“ ეწოდება). ისტება კითხა, რატომ უნდა დავიკიტოროთ კლასიკონთა გამოყიდვები? რატომ არ უნდა გამოიყიდოთ წარსულიდან ის, რაც დღესაც საჭირო და აუცილებელია? მართალია, ზოგიერთი თანამედროვე პოეტი (გვარის დასახელება ზედმეტად მიმართ), მაგალითად, ნორ ბარბაქაძე, ცდილობს აცდინონ ლიტერატურა განვითარების სწორ ხაზს (ხაზი ჩემია), და ზოგიერთ საკუთარ ლექსის „უსათაურის“ არქევს, მაგრამ კეთილინების და გვიპასუხოს პარიფერიზა (ხაზი სხვისია) ნარიმანმა, განა თვით სიტყვა „უსათაური“ სათაური არ არის?

კიდევ მრავალი და მრავალი ტომი დაიწერებოდა აქ აღმოჩეულ საკითხებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, სტატიის მცირე მოცულობა საშუალებას არ ჩაძლეს მთლიანდ გამოვთქვა ჩემი გულის ტკივილი. მხოლოდ ორიოდ სიტყვას დაგუშმატებდი — სათაურის გარდა, მწერალმა თვით ნაწარმოებზეც უნდა იფიქროს.

ორგება აღდაიდა

ამბერეკი ვაგზლილან პირდაპირ ექიმის კაბინეტში აღმოჩნდა.

გაადედიშობილეს, გაწითლდა. აწონეს და გაზომეს.

ჭონა — 66 კილოგრამი, სიგრძე 169 სმ. გაქლიათ 3 კილოგრამი. იბა, თქვენ იცით დანაკლისს როგორ ალიდგენთ. ანკეტის უკანასკნელი გრაფაც შეიცსო, სადაც ამბერეკიმ გარევებით ამოიკითხა: „ჯანმრთელი“.

— თქვენ ახალი დამსევნებელი ბრძანდებით? — შეექითხნენ ძველები.

— ახალი... — იყო პასუხი.

— ხომ არ წამოხალთ ხეალ ისტორიული აღილების დასათვალიერებლად?

— ისტორიკოსი გახლავართ, ასე რომ...

— რა თქმა უნდა, დასტურს ნიშნავდა.

— მაგ ასე, დილის ექვს საათზე კლუბთან ვიკრიბებით.

დილია ამბერეკი და საათის ისარი ერთად გაიკიმებინ ექვსზე. სანატორიუმს ტკბილად ეძინა, დამსევნებლები არ ჩინდნენ. პატარა ისარმა შეიდგებ გადაინაცვლა. ამბერეკი აღდედა, დაწყნარდა, კიდევ აღდედა და კიდევ დაწყნარდა. და როდესაც პირველი დამსევნებელი დაინიხა, მრისხანებამ მთლიანად გადაუარა. ქალი აღმოჩნდა, თანაც ლამაზი.

— სად არიან ჩვენები, რატომ იგვანებენ? — იყითხა ამბერეკიმ. ქალს გაერიმა, რომელ ჩვენებიზე ლაპარაკობსო, შემდგა კი მიუგო:

— ალბათ სძინავთ. საუბარი გაჩალდა.

— სპორტს მისდევთ? — შეეკითხა ქალი.

— ჩემი სტიქია. — იცრუა ამბერეკიმ.

— ჩემი სანატორიუმი მეტობელ სანატორიუმს ეჯიბრება ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ცურვში და სხვაში. მიიღიბთ თუ არა მონაწილეობას?

— დილი სიამოვნებით, — ხმა გაებზარა ამბერეკის. ახლა კი აღარ უნდოდა ამბერეკის ვიზზე მოსულიყო. მაინც მოვიღები. მოვიღენ, აიღეს მშრალი ულუფა და ზუსტად 10 საათისათვის წავიდნენ. ამბერეკის შევლივით მოშივდა. ჩემ-ჩუმად ორცხობილა აახარმუნა. სად არ იყვნენ, სად არა, დაბრუნდნენ შეინდებისას.

— დილით შეჯიბრებაა, ამბერეკი, არ დაგავიწყდეს. — შეესნა მარგორიტა. ასე ერევა იმ ლაპატ ქალს.

ამბერეკიმ საქმიანად გაიღიმა.

დაიწყო ამბერეკისათვის სპორტული ცხოვრება. ექვს სახეში გამოდიოდა. გამოდიოდა და დამარცხებული გადიოდა. მაინც არ იშლიდა. გადამეტებული სპორტული დატვირთვა და მარგორიტას ეშნი აღნობდებული ამბერეკის.

მიჩოდნენ საგზაურის დღეები, სპრინტები ნაბიჯებით შინდევდა ამბერეკი.

დადგა უკანასკნელი დღე. ექიმის კაბინეტში შეიყვანეს, გაადედიშობილეს. გაწითლდა. ასწონეს და გაზომეს.

— 58 კგ, სიგრძე 169 სმ, გაელიათ 11 კგ, ჰაერს უწევნია.

ანკეტის უკანასკნელი გრაფაც შეიცსო, სადაც ამბერეკიმ გარევებით ამოიკითხა: „გადაღლა“.


ეს, ამბერეკი, ამბერეკი, თუ ისვენებდი, დაგესვენა, შე კაცო!

8. გვ. 100 გვ. 100



ამბავი მოაღიბისა

სარკე სულაც არ სპირდება მოადგილეს, ამ ჩენ ლეონს: თავმჯდომარის ხახებ უცემენ, ჟავებ ინცენტის ქამარების! ამ დილით თავმჯდომარის საკუთავას გადადგინდა საკუთავას უცემენ საკუთავას, ვთქათ ხელმისაცვლილ საკუთავას! მაგრამ აი, თავმჯდომარე ხახიათზე დადგა სწორედ, გაილიმა და მის დიმილს — მოადგილე იმეორების! თავმჯდომარე — მილინება შეებულებაც უცემენ საკუთავას, მოადგილე უამისოდ — არარად სთვლის თავის თავას, ასე მიღის „შუშაობა“, როცა გამგის მანინჯ ქცევას მოადგილე მხოლოდ მონურ ანარეკლად გადაქცევა!



გამოცენები

ერთი კაცი 10 წელია ღუდის გამყიდველად მუშაობს. რამდენი ტონა ქაფი გაუყიდია ამ ხნის განმავლობაში, თუ ერთი წლის ნაქაფით «პობედის» მარკის მანქანა შეიძინა?

* *

უჭმელობით და სიგამხდრით დაოსებულმა მუშა-პირუ-ტყვემა უღელში სული განუტევა. კოლმეურნეობის თავმ-ჯდომარემ ბრძანა—ტყავი გაეძროთ!

ვინ დარჩა კიდევ ტყავგასაძრობი?

* *



ერთ-ერთმა ტაქსის მძღოლმა 400 გრამი არაყი გადაჰკრა, მოქალაქეს მანქანა დააჯახა და ცალი ფეხი დაუზიანა. რამდენი გრამი არაყი უნდა გადაეკრა მძღოლს, რომ მოქალაქეისათვის ორივე ფეხი დაუზიანებინა?

მახარაძის რაიონი, სოფელი დვაბზუ

აკადი ღლორთი



უტექსტო ხუმრობა



უტექსტო ხუმრობა


3 ა ს უ 6 0:

ჰორიზონტალურად:

3—ბურთი, 4—პოეტი, 6—ტახტი, 11—გათხოვება, 12—ქანდაკება, 18—კბილი, 15—მხაჭი, 18—ცვანი, 21—მოდა, 22—ცირე, 23—ბურგაფორია, 24—როლი, 25—ღოთი, 26—მანკი, 28—იხაკა, 29—იხარი, 35—დედამთილი, 37—გოლაქლაქე, 38—ხურმა, 39—წყალი, 40—ხაგბი.

ვირტიკალურად:

1—ორმოცი, 2—ცხვარი, 5—ენა, 7—ჩაი, 8—ობი, 9—ვაი, 10—ყბა, 14—იალბუზი, 15—მუშტარი, 16—ანაფორა, 17—ინტრიგა, 18—ტალანტი, 19—ქარი, 20—ბებია, 27—ნოზერი, 30—არქეო, 31—შენ, 32—ალო, 33—ნოე, 34—ჩქა, 36—ხმა.



— საბრალო, როგორ დაუმტკრევიათ, ბილეთი მაინც აეღო.

— არაუშავს, ინგალიდების სალაროში აიღებს თავისუფლად.

ნამ. გ. ფარცხალავასი

საქ. კპ ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი—ელგუჯა გალრაძე.

სარედაქტო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი,


ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. კელიძე.

3-10-49

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианг“. Редакция и рисунки: Григорий Гоголев. № 42 ტერ.

გამომც. № 12 ხელმოწ. დასაბ. 27/VII -1957 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0.5 ნაბ. ფორმა 1,37. პოლიგრაფუმბინატი.

შევ. № 787. უ. 02495. ტირ. 30.000.



57-273

ეროვნული
გამაცემისა

